სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №88

ქ. თბილისი

26 ივნისი 2018 წ.

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „პ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (N801399, 26.06.2018) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაწესდეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისთვის.
2. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის გამართვის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსში მონაწილეობის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს მეცნიერის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს განმცხადებლის/ჯილდოს კანდიდატის დასაბუთების წერილი დარგში ბოლო 3 წლის პერიოდში სამეცნიერო მიღწევების მითითებით ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სარეკომენდაციო წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დანართი1
დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის N88 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის
კონკურსის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში ფონდი) აწესებს ჯილდოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის.
2. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა წახალისება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით აქტიური და წარმატებული მოღვაწეობისა და ჩართულობის მიზნით, აგრეთვე განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისათვის, ქართული მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის.
3. ჯილდო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის გაიცემა ერთჯერადად, კონკურსის წესით.
4. თითოეულ კატეგორიაში გაიცემა მხოლოდ ერთი ფულადი ჯილდო და 1 წარჩინების სიგელი.
5. ზუსტი და საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი, ჯანდაცვის, აგრარული, ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით კონკურსში მონაწილეობის მსურველ აპლიკანტ(ებ)ს მინიმუმ ერთი პუბლიკაცია უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად მიღებული მაღალ რეიტინგულ (impact ფაქტორიან) ჟურნალში; სოციალური, ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით კონკურსში მონაწილეობის მსურველ აპლიკანტებს - საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ (ხილვად) რეფერირებად ჟურნალებში.
6. ჯილდოს ნომინაციაზე წარდგენილ დოკუმენტაციას უნდა ერთვოდეს სარეკომენდაციო წერილი, ან რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი გვარი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი). რეკომენდატორი უნდა იყოს პირი, რომელიც კარგად იცნობს ჯილდოს ნომინაციაზე წარდგენილ ახალგაზრდა მეცნიერის/მეცნიერთა ჯგუფის სამეცნიერო საქმიანობას[1]. რეკომენდატორის/სარეკომენდაციო წერილების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2-ს.

მუხლი 2. კონკურსის ჯილდოების კატეგორიები

კონკურსი ითვალისწინებს ერთჯერადი ჯილდოთი ახალგაზრდა მეცნიერის/მეცნიერთა ჯგუფის დაჯილდოებას.

ფონდის ჯილდო გაიცემა შემდეგ კატეგორიებში:

[1] სარეკომენდაციო წერილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის მოქალაქე სამეცნიერო საზოგადოების წევრის მიერ. რეკომენდატორი უნდა ასაბუთებდეს, კონკრეტულ ნომინაციაში რა მიღწევების გამო უწევს რეკომენდაციას ახალგაზრდა მეცნიერს/მეცნიერთა ჯგუფს, დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და შეიცავდეს შესაბამისი პირის საკონტაქტო ინფორმაციას (ტელ. ელ. ფოსტა). წერილი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას რეკომენდატორის ორგანიზაციული (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუცია და სხვ.) აფილაციის შესახებ. ფონდი უფლებამოსილია დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, დაუკავშირდეს რეკომენდატორ(ებ)ს.

#	ნომინაცია	დარგი	პრიზი	სუბიექტი/მოქალაქეობა
1	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერი	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	5000	უცხო ქვეყნის
2	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები	3500	საქართველოს
3	ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	3500	საქართველოს
4	ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი	ზუსტი და საბუნებისმეტყველო	8000	სამეცნიერო ხელმძღვანელი - საქართველოს მოქალაქე. ჯგუფში შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე
5	სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი	სიცოცხლის შემსწავლელი, ჯანდაცვის, აგრარული	3500	საქართველოს
6	სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი	სიცოცხლის შემსწავლელი, ჯანდაცვის, აგრარული	8000	სამეცნიერო ხელმძღვანელი - საქართველოს მოქალაქე. ჯგუფში შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე
7	ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი	ტექნოლოგიები და საინჟინრო მეცნიერებები	3500	საქართველოს
8	ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი	ტექნოლოგიები და საინჟინრო მეცნიერებები	8000	სამეცნიერო ხელმძღვანელი - საქართველოს მოქალაქე. ჯგუფში შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე
9	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	3500	საქართველოს
10	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები	8000	სამეცნიერო ხელმძღვანელი - საქართველოს მოქალაქე. ჯგუფში შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე თითოეულ ნომინაციაში, დამატებით, შესაძლებელია გაიცეს წარჩინების სიგელი (Seal of Excellence) ფულადი ჯილდოს გარეშე. თითოეულ ნომინაციაში დამატებით გაიცემა არაუმეტეს 1 სიგელისა; მეცნიერების პოპულარიზაციისა და ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით,

ფონდი უზრუნველყოფს წარმატებულ მეცნიერთა, მეცნიერთა ჯგუფის საქმიანობის გაშუქებას ფონდის ვებ გვერდის, სოციალური, ინტერნეტ და რადიო-ტელე მედიის მეშვეობით.

მუხლი 3. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
2. **ფონდი უზრუნველყოფს:**

ა) კონკურსის გამოცხადებას დადგენილი წესით;
ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას;
გ)საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;
დ) ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საკონკურსო განაცხადების შემფასებელ კომისიას და ადგენს მისი საქმიანობის წესს;
ე) კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტი;
ვ) კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებას;
ზ) ჯილდოების კატეგორიების შესაბამისად კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების დაჯილდოებას.

მუხლი 4. სუბიექტები

1. კატეგორიების შესაბამისად ჯილდოს მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია შემდეგ სუბიექტებს:

ა) სამეცნიერო ჯგუფების ჯილდოების კატეგორიაში (მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, მე-4, მე-6, მე-8 და მე-10 ქვე-პუნქტებში) აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებებში აქტიურად მოღვაწე არანაკლებ 3 (სამი) საქართველოს მოქალაქის, მკვლევარისგან შემდგარ სამეცნიერო - კვლევით ჯგუფს. ჯგუფის შემადგენლობაში ხელმძღვანელის სტატუსით ჩართული უნდა იყოს კონკრეტულ სამეცნიერო მიმართულებაში აქტიურად მოღვაწე დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს მოქალაქე. ჯგუფში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერების გარდა შესაძლებელია ჩართული იყვნენ მაგისტრანტ(ებ)ი, დოქტორანტ(ებ)ი და/ან რეზიდენტები. ჯგუფში ასევე შეიძლება ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერ(ებ)ი.

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა ჯილდოების კატეგორიაში (მე-2 მუხლის, პირველი პუნქტი , მე-2, მე-3, მე-5, მე-7 და მე-9 ქვე-პუნქტებში) აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებებში აქტიურად მოღვაწე დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდა მკვლევარს, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო 7 წლის განმავლობაში; სამეცნიერო კარიერის წყვეტის შემთხვევაში (სადეკრეტო შვებულება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.) 12 წლის პერიოდის განმავლობაში.

გ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერის ჯილდოს კატეგორიაში (მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, პირველი ქვე-პუნქტი) აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებაში აქტიურად მოღვაწე დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

2. საკონკურსო განაცხადი შესაძლებელია წარადგინოს თავად ჯილდოს კანდიდატმა - მკვლევარმა. ასევე, შესაძლებელია საკონკურსო განაცხადი წარდგენილი იყოს საქართველოს ან/და ნებისმიერი სხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრის, ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის, სახელმწიფო და კერძო სამეცნიერო დაწესებულების მიერ, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:

ა) ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრებს;

ბ) კონკურსის შემფასებელი კომისიის წევრებს;
გ) ფონდის თანამშრომლებს.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. **კონკურსის ეტაპებია:**
2.

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) საკონკურსო განაცხადების ,,სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის" ფონდში წარდგენა;

გ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) საკონკურსო განაცხადების განხილვა და ჯილდოების კატეგორიებში გამარჯვებულების გამოვლენა გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;

ე) საკონკურსო კომისიის შეფასებაზე დაყრდნობით გამარჯვებული კანდიდატების დამტკიცება;

ვ) ფონდის მიერ კონკურსის შედეგების საჯარო გამოცხადება;

ზ) გამარჯვებული კანდიდატებისათვის ჯილდოების გადაცემა - 2018 წლის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის დროს.

მუხლი 6. საკონკურსო განაცხადის წარდგენა

1. საკონკურსო დოკუმენტაცია (იხ.დანართები 3;4;5) უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად, ფონდის ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: aarp@rustaveli.org.ge 2018 წლის **20 ივლისის,** 16:00 სთ-მდე;
2. საკონკურსო დოკუმენტაციის გამოგზავნისას ტექსტში უნდა მიეთითოს ჯილდოს კანდიდატ(ებ)ის სახელი, გვარი, **ჯილდოს კატეგორია** და სამეცნიერო მიმართულება;
3. სარეგისტრაციო შიფრის ელ. ფოსტით მიღების შემდგომ, უნდა შეივსოს ,,სსიპ -შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის" განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (იხ. დანართი №2), სარეგისტრაციო შიფრის, aarp/.../.../18 მითითებით. შიფრის მინიჭება ხდება საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ. განცხადება დადასტურებული უნდა იყოს ხელმოწერით/ებით,
4. ამობეჭდილი, ხელმოწერილი განცხადება ,,სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის" წარდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში 2018 წლის **23 ივლისის,** 16:00 სთ-მდე. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიის (უცხო ქვეყნის მოქალაქის) შემთხვევაში შესაძლებელია დასკანირებული, ხელმოწერილი განცხადების წარმოდგენა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
5. საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ივსება ქართულად და ინგლისურად. პაკეტების იდენტურობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი.
6. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

ა) განცხადებას ,,სსიპ -შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისთვის" კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2) წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში, დადასტურებული განმცხადებლ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
ბ) განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფიას (CVქართულ და ინგლისურ ენებზე) (დანართი 3) PDF ფაილის სახით;

გ) განმცხადებლის/ჯილდოს კანდიდატის დასაბუთების წერილის მის სამეცნიერო მიმართულებაში ბოლო 3 წლის პერიოდში სამეცნიერო მიღწევების მითითებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე) (დანართი 4)) PDF ფაილის სახით;

დ) სარეკომენდაციო წერილ(ებ)ს, ან რეკომენდატორების საკონტაქტო ინფორმაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) (დანართი 5) PDF ფაილის სახით; უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის კატეგორიაში განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, მიუთითეთ წინა სამი წლის განმავლობაში: მომზადებული მინიმუმ ერთი სტატია, ან მინიმუმ ერთი საერთო სახელმძღვანელო, ან თანაავტორობით/ერთობლივად წარდგენილი მიღებული პატენტი (არსებობის შემთხვევაში).
8. ვადის დარღვევის, ყალბი ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში ჯილდოზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადი ფონდის მიერ საკონკურსოდ არ განიხილება და მოიხსნება.

მუხლი 7. ჯილდოების გადაცემის პროცედურა

1. გამარჯვებული კანდიდატისათვის ჯილდო გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, მუხლი 2-ში მითითებული კატეგორიებისა და ოდენობების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით არსებული ყველა შესაბამისი გადასახად(ებ)ის გათვალისწინებით.
2. კვლევითი ჯგუფის ჯილდო გაიცემა ჯგუფის სამეცნიერო ხელმძღვანელზე უნაღდო ანგარიშსწორებით. ფონდი პასუხისმგებელი არ არის ჯგუფის შიგნით წევრებზე ჯილდოს გადანაწილებაზე. აღნიშნული განაწილება მოხდება ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. ჯილდოზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

1. შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ ამ მუხლის მესამე პუნქტის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.
2. კომისია ადგენს მუხლი 2-ის პირველ პუნქტში არსებული ჯილდოების ნომინაციების მიხედვით რანჟირებულ სიებს. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად და მტკიცდება ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით.
3. ჯილდოზე წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	**შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით**
1.სამეცნიერო პროდუქტიულობა,	1	2	3	4	5	6	7	8	9	
• პუბლიკაციები (საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში) ბოლო 3 წლის განმავლობაში • საერთაშორისო და ადგილობრივი პატენტი და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლება (IPR)										
2.სამეცნიერო საქმიანობა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე	1	2	3	4	5	6	7	8	9	
• საერთაშორისო და ეროვნულ პროექტებში მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის (PI) სტატუსით • საერთაშორისო /ეროვნული ნომინაციები, ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები • რეცენზირებადი ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა										

3. მეცნიერის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში	1	2	3	4	5	6	7	8	9	
სამეცნიერო კონფერენციები/სიმპოზიუმები/კონგრესები, სამუშაო შეხვედრები) თავმჯდომარის/თანა-თავმჯდომარის /მომხსენებლის /მოწვეული მომხსენებლის/მთავარი მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა და სხვ.)										
შემაჯამებელი კომენტარი საკონკურსო განაცხადის შესახებ, სამივე კრიტერიუმის შესაბამისად)										
☐ A ☐ B ☐ C										

ა) კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	შეუსაბამო	საკონკურსო განაცხადი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	საკონკურსო განაცხადი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	საკონკურსო განაცხადი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	საკონკურსო განაცხადი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	საკონკურსო განაცხადი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	საკონკურსო განაცხადი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	საკონკურსო განაცხადი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	საკონკურსო განაცხადი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე საკონკურსო განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

ბ) თითოეული კრიტერიუმი (1,2,3) ფასდება მინიმუმ 1, მაქსიმუმ 9 ქულით. სამივე კრიტერიუმისათვის მინიმალური შესაძლო შეფასებაა 3, მაქსიმალური-27 ქულა.

გ) ჯილდოს მისაღებად საჭიროა სამივე კრიტერიუმში A კატეგორიის შეფასების მიღება.

დ) თუ რომელიმე კრიტერიუმში პროექტი მიიღებს C კატეგორიის შეფასებას, ახალგაზრდა მეცნიერი და კვლევითი ჯგუფი არ დაჯილდოვდება ფულადი პრიზით და არ მიიღებს სიგელს.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების შეფასების და დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს საკონკურსო კომისიის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილის ნათესავია; პროექტში მონაწილის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს შესაბამისი საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებულ შეფასების გაუქმების შესახებ.

Annex 1

Terms of Reference of the Call for LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) Award for Outstanding Young Scientists and Groups of Scientists

Article 1. General Provisions

1. LEPL – Shota Rustaveli National Science Foundaiton of Georgia (hereinafter referred as SRNFG) announces Award (hereinafter referred as award) for outstanding achievements and contribution to the Science, Technology, Innovation (STI) system.
2. The call "Award for Outstanding Young Scientists and Groups of Scientists initiated by SRNSFG" (hereinafter call) announced by SRNSFG aims to encourage Georgian and International Scientists involvement in STI system development, also to apprise an exceptional contribution, to promote research in the field of Georgian studies.
3. The award for the outstanding achievements and contribution to the STI system is granted only once, by the means of the call.
4. Only one Excellence Award and financial prize will be considered for every category
5. Applicants in the fields of:
    - Exact and Natural Sciences;
    - Life Sciences;
    - Health Sciences;
    - Agrarian Sciences;
    - Technology and Engineering must have at least one publication in journal with impact factor. Additionally, applicants in the field of Humanities must have publications in peer-reviewed scientific journals indexed in international scientific databases.
6. Documents submitted for the nomination must include Recommendation Letter[1] or recommender's contact information (Name, Surname, Telephone, E-mail) who is familiar with Young Scientist and Group of Scientists research work nominated for the prize. The number of the recommenders/Reference Letters should not exceed 2.

Article 2. Award categories as part of the call

In the frame of the 2018 Call, award will be granted in the following categories:

[1] The Recommendation Letter may be submitted by the member of Georgian and foreign scientific community. The recommender should substantiate why a Young Scientist / Group of Scientists deserves prize in a specific nomination. The document must be signed and must include recommender's contact information (telephone, e-mail), the letter should also contain information about recommenders' affiliation (university, institute, center, scientific-research institute, etc.). SRNSFG is entitled to contact relevant referee(s) for further information.

№	Nomination	Field	Award (Gel)	Citizenship
1	The best foreign scientist of the year in the field of Georgian Studies	Georgian Studies	5000	Foreign citizen
2	The best young scientist of the year in the field of Georgian Studies	Georgian Studies	3500	Georgian citizen
3	The best young scientist of the year in the field of Exact and Natural Sciences	Exact and Natural Sciences	3500	Georgian citizen
4	The best Group of Scientists of the year in the field of Exact and Natural Sciences	Exact and Natural Sciences	8000	Scientific supervisor/Principal Investigator- citizen of Georgia, group member can be a foreign citizen
5	The best young scientist of the year in the field of Agrarian, Health and Life Sciences	Agrarian, Health and Life Sciences	3500	Georgian citizen
6	The best Group of Scientists of the year in the field of Agrarian, Health and Life Sciences	Agrarian, Health and Life Sciences	8000	Scientific supervisor /Principal Investigator PI - citizen of Georgia, group member can be a foreigner
7	The best young scientist of the year in the field of Technology and Engineering Sciences	Technology and Engineering Sciences	3500	Georgian
8	The best group of scientists of the year in the field of Technology and Engineering Sciences	Technology and Engineering Sciences	8000	Scientific supervisor/Principal Investigator PI - citizen of Georgia, group member can be foreigner
9	The best young scientist of the year in the field of Humanities and Social Sciences	Humanities and Social Sciences	3500	Georgia
10	The best group of scientists of the year in the field of Humanities and Social Sciences	Humanities and Social Sciences	8000	Scientific supervisor/Principal Investigator PI - citizen of Georgia, group member can be a foreign citizen

Based on the Commisions' decision, one Excellence Award can be granted by each nomination, money award is excluded. In order to support science popularization and inform public, SRNSFG will promote research activities of prominent Georgian and Foreign Scientists by the means of Social Media, Internet, Radio, TV broadcasting.

Article 3. Call administration

1. Call administration is organized by the Legal Entity of Public Law - Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.
2. SRNSFG provides:
   A) Call announcement in accordance with terms of reference;
   B) Eligibility check of documentation submitted in the frame of the call;
   C) Defines call administration rules, application submission deadline and procedures;
   D) Director General by legal administrative act creates evaluation commission and defines procedure rules;
   E) Director General by legal administrative act approves list of projects, selected by the commission;
   F) In compliance with award categories, awarding winner candidates.

Article 4. Participants

1. According to the award categories, following individuals can participate in the call:

A) In the frame of the category The Best Group of Scientists (paragraphs 4, 6, 8, 10 of Article 2), group composed / containing at least 3 scientists holding Georgian citizenship. Principal investigator must hold a PhD Degree (or equivalent) and Georgian citizenship, with prominent academic record, group members may be MA, PhD or resident students. Scientist holding foreign citizenship, may be involved as group member.

B) In the frame of the category of the Best Young Scientist (paragraphs 2, 3, 5, 7,9 of Article 2), Georgian citizen, who received PhD Degree during last 7 years before the call announcement date, with prominent academic record. In case of researcher's sabbatical leave, an eligible applicant received a PhD Degree during the last 12 year before the call deadline.

C) In the frame of the category of the Best Foreign Scientist award in the field of Georgian Studies (Article 2, 1st paragraph), foreign citizen holding a PhD degree or equivalent with prominent academic record in the field of Georgian studies.

2. Applications can be submitted by award candidate - scientist, also Georgian and/or foreign scientific center, institution, university, museum, library, state or private scientific entity can submit application in accordance with terms of conditions and submitting rules defined by the SRNSFG.

3. Following individuals are not eligible to participate in the call:

A) The members of the International Policy Board of SRNSFG;
B) The members of the call Commission;
C) SRNSFG employees/staff.

Article 5. Call stages

1. Call stages:

   A) Call announcement;

   B) Submission of the application and documentation to SRNSFG;

   C) Eligibility check of the submitted applications;

   D) Evaluation of the applications and announcement of award-winners in each categories in accordance with the evaluation criteria defined by the Administrative Legal Act of the Director General;

   D) Approval of the selected candidates by the evaluation commission;

   E) Announcement of the results by SRNSFG;

   F) Award ceremony for the granted candidates during the Tbilisi 2018 Science and Innovation Festival.

Article 6. Submitting the applications

1. Sending the call documentation (annex 3,4,5) (except for statement form) (annex 2) to the e-mail address: aarp@rustaveli.org.ge until **July 20, 2018, 16:00;**
2. Indicate the award nominee/s name, surname and award category. Put the sender's name, surname, academic/scientific status, position and contact details at the end in the text of the letter;
3. **The scanned and signed call application form (Annex 2) must be submitted in PDF format via email to the following email address:** aarp@rustaveli.org.ge Application submission deadline until July 23, 2018, 16:00;
4. Complete package of documentation will be filled in Georgian and English languages. The person presenting the documentation is responsible for the identity of Georgian and English versions of the application, the quality and accuracy of the translation.
5. **The call documentation must include:**

   A) Statement about participation (Annex 2) with the signature of the applicant;

   B) Professional biography of the participant (CV in English and Georgian languages) (Annex 3) in PDF format;

   C) Cover letter of the candidate, containing scientific achievements during the last 3 years (Annex 4) in PDF format;

   D) Reference letter(s) or referee's contact information (Annex 5) in PDF format. Reference letter (s) issued by a foreign citizen must be translated into Georgian;

   5. Candidates who apply in the category of the Best Scientific Group must include at least one article, one joint textbook/guide line or a jointly developed patent during the past 3 years. (If applicable)

   6. In case of violation of the terms of the call and/or presenting incomplete and / or false documentation, an application will not be evaluated in frames of the call.

Article 7. Procedures for granting awards

1. The winning candidates will receive award funding by non-cash settlement, according to the categories and sum indicated in article 2, including all taxes foreseen by the Georgian legislation;

2. In case of the research group, award funding will be transferred on Principal investigator's bank account. SRNSFG is not responsible for the distribution of the award between the group members. The distribution of the received funding will be made on a mutual agreement of the group members.

Article 8. Evaluation criteria

1. The evaluation is carried out by experts' groups (commission) using evaluation criteria set by the paragraph 4 of this article;
2. Commision defines ranking lists according to the nominations defined by article 2. Final decision is made according to the commissions' recommendation and is approved by the order of Director General.
3. The applications submitted in the frame of the call will be evaluated according to the following criteria:

Criteria and Explanation	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	**According to the Evaluation criteria (A/B/C)**
1.Science productivity, authorship	1	2	3	4	5	6	7	8	9	
· Publications (in International Peer Reviewed Journals) – last 3 years ·International/national patents and other IPR										
2.Scientific performance at international and national level	1	2	3	4	5	6	7	8	9	
· Participation in international/national research projects with the PI status · International/national nominations, awards, prizes, fellowships, scholarships · Participation in the editorial board of peer reviewed journals										
3.Participation in the International Scientific events	1	2	3	4	5	6	7	8	9	

scientific conferences/congress/symposium/workshop) with status of Chairman /Co-Chairman/Plenary Speaker/ Invited Speaker/Key Note Speaker										
Total scores:										
Final scores (Final evaluation of the expert by the three criteria) □ A □ B □ C										
Final comment about the project: (Final comment of the commission in accordance with the scores of all three criteria):										

A) Evaluation of points in sub-criteria is as follows:

Score	ABC category	Evaluation	Explanation
1	C-	Inappropriate	Application does not meet particular criteria, or the application cannot be evaluated due to the lack of information
2	C	Partly inappropriate	Application does not fully meet the particular criteria; It is difficult to evaluate the application due to the insufficient information.
3	C+	Poor	Application poorly meets the criteria, there are certain weaknesses
4	B-	Satisfactory	Application meets the criteria, however there is significant weaknesses
5	B	Average	Application meets the general criteria, but grounding is unsatisfactory quality.
6	B+	Quite Good	Application generally meets the criteria, but there are weak argumentation
7	A-	Good	Application meets the criteria well, argumentation is satisfactory, but requires certain improvements
8	A	Very Good	Application fully meets the criteria, originality and argumentations are visible, however still requires certain improvements

9	A+	Excellent	Distinctive, high scientific quality project, which perfectly meets all the criteria

B) Each criteria (1, 2, 3) is evaluated with minimum 1 and maximum 9 scores. For all three criteria, minimum evaluation is 3 and maximum score - 27;
C) To receive the award, it is necessary to get A category evaluation in all three criteria;
D) In case the project receives C in any of the criteria, the Scientist/research group will not be awarded with funding and will not receive the certificate.

Article 9. Conflict of interest

1. Independent expert, member of the evaluation commission should not be the participant of the Call;

2. Independent experts or members of the commission should not participate in the evaluation if:
a) They have a joint publication(s) with the key personnel of the project, or participated in the same scientific-research projects or works at the same structural unit of the institution (faculty, institution, department);
b)There's certain possibility of them receiving professional, financial or personal benefit in any case whether the project has been granted or not;
c) If they have totally different position with regards to the topic and methodology of the project;
d) If they are interested party in the frame of the project, relative or representative of the interested party, or have labor relation with the interested party.

3. For the purposes of this regulation, as a relative may be considered as:
a) Direct relative;
b) Spouse, their sister/brother and direct relative;
c) Ascendant relative;
d) Sister/brother, their spouses and children;

4. Member of the Commission and independent experts are obliged to officially inform the Director General about any of the above mentioned circumstances regarding the conflict of interest;
5. If information about the conflict of interest revealed to the SRNSFG before the approval of the granted projects, SRNSFG is entitled to discuss the issue about the evaluation cancelation.

დანართი 2
დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის N88 ბრძანებით

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის“

განცხადება

წარმოგიდგენთ, რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის“ კონკურსში მონაწილეობის შესახებ გაცემის წესისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ ”სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის ბრძანებას N88, ხელმოწერით ვაცხადებ კონკურსის პირობებზე თანხმობას და ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ საკონკურსო განაცხადის შესახებ ფონდში ელექტრონულად წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას აღნიშნული განაცხადი კონკურსიდან.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი საკონკურსო განაცხადი „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისთვის“ ” 2018 წლის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საპროექტო განაცხადის შიფრი aarp/ …/…/18

ჯილდოს კატეგორია

1) ☐ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერი
2) ☐ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი
3) ☐ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი
4) ☐ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი
5) ☐ სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი
6) ☐ სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო
   მეცნიერთა ჯგუფი
7) ☐ ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი

8) ☐ ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი

9) ☐ სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი

10) ☐ სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი

სამეცნიერო ქვე-მიმართულება: _____

ჯილდოს კანდიდატ(ებ)ის სახელი, გვარი:

#	სახელი, გვარი	ტელეფონი	ელ. ფოსტის მისამართი	ხელმოწერა
1)				
2)				
3)				
4)				
5)				

11) კონკურსანტის წარმდგენი ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება და ხელმოწერა:

დასახელება	ტელეფონი	ელ. ფოსტის მისამართი	ხელმოწერა	ბეჭედი (იურიდიული პირის შემთხვევაში)

ფონდში საკონკურსო განაცხადის ელექტრონულად წარდგენის თარიღი: ___/___/2018

Call for the awards for young scientists and group of scientist for the outstanding scientific achievements of the LEPL- Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

By presenting the information about the call, I certify that I have read the Decree N ____ of the Director General of the SRNSFG about the terms of reference, application procedures and forms of the Call for the Awards for Young Scientists and Groups of Scientist for the outstanding scientific achievements of SRNSFG, 2018. By signing the agreement, I accept the Call terms and conditions and confirm that information provided by me to the foundation electronically is accurate and does not contain false data.

By signing the agreement, I agree that the Foundation is authorized to double-check/monitor the accuracy of personal and other provided information and in case of incompliance dismiss application from the call.

Please, consider my application for participating in "Call for Award of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for outstanding young scientists and groups of scientist of the year 2018".

Application ID – aarp .../.../18

1. Award Categories:
   - Best foreign scientist of the year in the field of Georgian Studies;
   - Best young scientist of the year in the field of Georgian studies;
   - Best young scientist of the year in the field of Exact and Natural Sciences;
   - Best Group of scientists of the year in the field of Exact and Natural Sciences;
   - Best young scientist of the year in the field of Agrarian, Health and Life sciences;
   - Best Group of Scientists of the year in the field of Agrarian, Health and Life sciences;
   - Best young scientist of the year in the field of Technology and Engineering Sciences;
   - Best Group of scientists of the year in the field of Technology and Engineering Sciences;
   - Best young scientist of the year in the field of Humanities and Social Sciences;
   - Best Group of scientists of the year in the field of Humanities and Social Sciences.

1. Scientific sub-field : _____

2. Personal information of candidates

Name, Surname	Phone number	Email address	Signature
A)			
B)			
C)			
D)			

Name and signature of individual/legal entity nominating participant

Name/Title	Phone number	E-mail address	Signature	Stamp (in case of the legal entity)

Date of the electronic submission of the application: ___/___/2018

დანართი 3

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის N88 ბრძანებით

მეცნიერის ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

	სახელი, გვარი,	პირადობის ნომერი
ტელეფონი		
ელ.ფოსტა		დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
ვებგვერდი		

სამეცნიერო ინტერესთა სფერო

1. განათლება

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	აკადემიური ხარისხი	სპეციალობა
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
5				

3. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 3 წლის განმავლობაში)

№	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი
1				
2				
3				
4				
5				

4. ბოლო 3 წლის პუბლიკაციების* ჩამონათვალი საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალებში

№	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის სახელი, ტომი, ნომერი (წელი): გვერდები ან წიგნის/მონოგრაფიის სათაური, რედაქცია, გამომცემლობა, ქალაქი, წელი
1		
2		

3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

5. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობა

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ადგილი	მოხსენების სათაური
1				
2				
3				
4				
5				

6. დაპატენტებული გამოგონებების ჩამონათვალი

№	თარიღი	გამოგონების სახელწოდება	პატენტის მიმნიჭებელი ორგანიზაცია, ქვეყანა
1			
2			
3			
4			
5			

7. დამატებითი ინფორმაცია (საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდოები, სტიპენდიები და სხვ.)

შენიშვნა: მეცნიერის სამეცნიერო ინდექსი/ პროდუქტიულობა გაიზომება გამომცემლობა შემდეგი ბაზების გამოყენებით: ELSEVIER data bases (Scopus,) Clarivate Analytics (Web of Science) ყველა სამეცნიერო მიმართულებისთვის; ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგებისთვის - Google Scholar, ERICH PLUS, SJR.

CURRICULUM VITAE

Name, Surname

ID number

Telephone

E-mail

Date of Birth (D/M/Y)

Webpage

Research Interests

1. Education

№	Years	Name of the University/Institute, Country	Academic Degree	Major / Specialty
1				
2				
3				
4				
5				

2. Work Experience

№	Years	Position	Department / Unit	Organization
1				
2				
3				
4				
5				

3. experience in the scientific-research projects (during the last 3years)

№	Years	Position and role in the project	Project Title	Funding Organization
1				
2				
3				

4				
5				

4. List of Publications in the International Peer Reviewed Journals (during the last 3 years)[1]

№	Title of the Publication	Title of the Journal, series, volume (publication date): page(s) or title of the book / monograph, number of edition, publisher, city, year of publication
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

5. Participation in International Forums/Conferences

№	Year	Event title	Venue	Title of the Presentation
1				
2				
3				
4				
5				

6. List of Patents

№	Date	Title of Invention	Patent-granting Organization, Country
1			
2			
3			
4			
5			

Note: Science Productivity will be measured using ELSEVIER data bases (Scopus,) Clarivate Analytics (Web of Science) for all scientific directions and additionally, for Social Sciences and Humanities will be used data bases of Google Scholar, ERICH PLUS, SJR. Detailed information and methodology of measuring science productivity will be approved by Director General of SRNSF.

დანართი 4

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წ. 21 ივნისის N ბრძანებით

განმცხადებლის/ჯილდოს კანდიდატის დასაბუთების წერილი დარგში ბოლო 3 წლის პერიოდში სამეცნიერო მიღწევების მითითებით

(არაუმეტეს 400 სიტყვისა)

<u>სამეცნიერო კვლევით ჯგუფის კატეგორიაში განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში,</u> მიუთითეთ წინა სამი წლის განმავლობაში მომზადებული მინიმუმ ერთი სტატია, ან მინიმუმ ერთი საერთო სახელმღვანელო, ან თანაავტორობით/ ერთობლივად წარდგენილი/მიღებული პატენტი (არსებობის შემთხვევაში).

Annex 4

Motivation letter highlighting applicant's scientific achievements

(Maximum word count - 400 words)

In case of submitting application as a scientific research group, please indicate at least one article or joint textbook/reader or patent (if applicable)

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის N88 ბრძანებით

სარეკომენდაციო წერილი

<u>რეკომენდატორის პირადი ინფომაცია</u>

სახელი	
გვარი	
საკონტაქტო ინფორმაციო	დაბადების წელი, თვე, რიცხვი ქვეყანა, ქალაქი მისამართი ტელეფონი ელექტრონული ფოსტა
თანამდებობა	
ინსტიტუცია	

სარეკომენდაციო წერილი

<u>ხელმოწერა</u> <u>თარიღი</u>

Reference letter

Personal information of the recommender

Name	
Surname	
Contact Information	Date of birth: Country, city: Address: Phone number: E-mail address:
Position	
Institution	

Reference letter

Signature

Date: